ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №313642

ნომერი: AR173877

თარიღი : 16.08.2012

გაცემის თარიღი : 21.08.2012

გაცნობის თარიღი : 27.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:

- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე გოგიაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს AM ფარდი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202461246

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ალიანს ჯი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 204560714
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალიანს ჯი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/985, 11.05.2011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.05.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2011 წლის 11 მაისის N01/985 ბრძანებასა და N6/1056-1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 11 მაისს N01/985 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორ კრწანისი), პურის მოედანი N1 და N2–ში, შპს ,,ალიანს–ჯი''–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის (უძრავი ძეგლი) რეკონსტრუქცია–ადაპტაციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა N6/1056-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2012 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით.
2012 წლის 16 აგვისტოს N AR173877 განცხადებით მოგვმართა შპს ,,ალიანს–ჯი''–ს მინდობილმა პირმა ავთანდილ ნაცვალაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 11 მაისის N01/985 ბრძანებასა და N6/1056-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 11 მაისის N01/985 ბრძანებასა და N6/1056-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 11 მაისის N01/985 ბრძანებასა და N6/1056-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.